

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა  
და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი N 3

ქ.ვანი თავისუფლების N65

26 აპრილი 2021 წელი

11:00 საათი

**სხდომას ესწრებოდნენ:** რამაზ არველაძე, გელა ღვიტიძე, გიგა გოგიბერიძე, ამირან ტალახაძე, თორნიკე ერისთავი, აპოლონ რამიშვილი, თენგიზ დვალიშვილი.

**საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდა:** კობა ძაგნიძე, დავით ხარძეიშვილი, ეთერ ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე.

*სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.*

**დანართი N1**

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - რამაზ არველაძე (კომისიის თავმჯდომარე)

**მოწვეული პირი:** ჯამრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი - მიხეილ სვანაძე.

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - ლუბა კიკაბიძე.

## დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პირველი კვარტლის სოციალური პროგრამების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

მომხს: მიხეილ სვანაძე

**გადაწყვეტეს:** დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

### მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მიხეილ სვანაძემ წარმოადგინა 2021 წლის პირველი კვარტლის სოციალური პროგრამების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ფაქტობრივი შესრულება 2021 წლის 22 მარტის მდგომარეობით 581 ბენეფიციარზე არის 198785.83 ლარი, პირველი კვარტლის აუთვისებელი თანხა არის 47114.17 ლარი. ოქმს პროგრამების დასახელების ჩამონათვალი დანართის სახით თან ერთვის.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მიმართა, წარმოდგენილი საკითხის მიმართ ხომ არ გაქვთ შეკითხვა ან შენიშვნა, კომისიის წევრებს მოსაზრებები არ დაუფიქსირებიათ.

საკითხის ამოწურვის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ რამაზ არველაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

რამაზ არველაძე  
ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა  
კომისიის სხდომის თავმჯდომარე